

30/01/2026



MES 1 26 0000091008

## **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 16 იანვარს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

**Topic:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა

**Time:** Jan 16, 2026 12:00 PM Tbilisi,

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=86136876427>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო)  
წევრები:**

**ელენე კაკაბაძე** – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);

**ხათუნა ჩხარტიშვილი** – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

**ნათია ბუთხუზი** – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);

**გიორგი ვეკუა** – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

**გოჩა გოგიტიძე** – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);

**გოგიტა მშვენიერაძე** – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი);

**ეკატერინე გიგაშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი.

**სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ქეთევან ჭუჭულაშვილი** – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

**ნათია მჭედლიძე** – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**ნია გუგუნივა** – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

**ლელა კიკნაძე** – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

**საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:**

თეკლე ცუცქირიძე

ნანა ვერულაშვილი

ქეთევან ღვანიძე

ირმა არსენიშვილი

თამარ ჯანგულაშვილი

დემიდ ფასიშვილი

**დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**სსიპ კოლეჯი მოდუსი**

ნინო ქავთარაძე - სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორი;

მაია დალაქიშვილი - დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;

დიანა გოშაძე - დირექტორის მოადგილე ეკონომიკურ დარგში;

ქეთევან გურგენიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი;

მადონა გოგობერიშვილი - ხარისხის მართვის სპეციალისტი;

ელენე ტოგონიძე - სასწავლო პროცესის მენეჯერი;

ანა კაპანაძე - ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერი;

ლევან კვიჟინაძე - იურისტი.

**შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია**

ნესტან აბსავა-დირექტორი

**შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი**

ნინო ტეტიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

## **საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:00 საათი.**

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

### **დღის წესრიგი:**

1. სსიპ კოლეჯი მოდუსის „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 4 ივლისის №823527 გადაწყვეტილებაში“ ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 4 ოქტომბრის №1302407 გადაწყვეტილებაში“ ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. შუამდგომლობა არ იყო წარმოდგენილი.

**პირველი საკითხი:** სსიპ კოლეჯი მოდუსის „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 4 ივლისის №823527 გადაწყვეტილებაში“ ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### **ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, საკითხის განსახილველად სიტყვა გადასცა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ნანი დალაქიშვილს.

მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2025 წლის 16 დეკემბერს დარეგისტრირდა სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ წერილი, რომლითაც დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ (მარნეული, რუსთავი) და „ელექტროობა“ (მარნეული, რუსთავი) მოდიფიცირებული პაკეტი. წარმოდგენილი პროგრამები შესაბამისობაშია მოყვანილი ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან.

პროგრამების მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამების კრედიტების რაოდენობა:

ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. N4:

**პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“**

ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის – 55 კრედიტი

არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის – 70 კრედიტი

**პროგრამა „ელექტროობა“**

ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის – 66 კრედიტი

არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის – 81 კრედიტი

მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება:

**პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“**

ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის – 55 კრედიტი

არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის – 70 კრედიტი

**პროგრამა „ელექტროობა“**

ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის – 66 კრედიტი

არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის – 81 კრედიტი

დაწესებულების გადაწყვეტილებით, პროგრამებში შეტანილი ცვლილებები გავრცელდება სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ 2026 წლის მიღებიდან ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე, ხოლო მიღევადი ჯგუფებისთვის პროგრამები განხორციელდება ცვლილებამდე არსებული ფორმით.

განხილვისას აღინიშნა, რომ მიუხედავად იმისა, წარმოდგენილ პროგრამებში ასახულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით დაშვებული მოდულების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა, დაწესებულებას ცენტრში არ წარმოუდგენია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დისტანციურად სწავლების წესი.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2023 წლის №143/ნ ბრძანების („პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“) მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია განსაზღვროს დისტანციური სწავლების პროცესის ეტაპები, ჩართულ პირთა პასუხისმგებლობები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტი ცენტრში წარმოდგენილი არ არის და დაწესებულებას არ მოუმართავს ცენტრისთვის პროგრამების განხორციელების ფორმის ცვლილების თაობაზე, დაფიქსირდა, რომ დაწესებულებას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი სასწავლო პროცესის დისტანციური ფორმით განხორციელებისთვის. აღინიშნა, რომ მოდულების დისტანციურად განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაწესებულება შეიმუშავებს შესაბამის წესს და მას ცენტრში დადგენილი წესით წარადგენს.

კოლეჯი ითხოვას, შუამდგომლობა წარედგინოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პარამეტრების (კრედიტების) ცვლილების მხარდაჭერის თაობაზე. ცვლილება აისახოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 4 ივლისის №823527 გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ კოლეჯი მოდუსის „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 4 ივლისის №823527 გადაწყვეტილებაში“ ცვლილების შესახებ.

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ კოლეჯი მოდუსის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 4 ივლისის №823527 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, ცვლილება განხორციელდეს „ინფორმაციის ტექნოლოგიის“, „ელექტრობის“ (პროგრამების განხორციელების ადგილი: ქ.რუსთავი, შარტავას გამზ. N4) და „ინფორმაციის ტექნოლოგიის“, „ელექტრობის“ (პროგრამების განხორციელების ადგილი: მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების პარამეტრებში. გადაწყვეტილების N823527 მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 1).

**მეორე საკითხი:** შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 4 ოქტომბრის №1302407 გადაწყვეტილებაში“ ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

## ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, საკითხის განსახილველად სიტყვა გადასცა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ნანი დალაქიშვილს.

მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში რეგისტრირდა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ზუგდიდის აკადემიის“ 2025 წლის 16 დეკემბრის N1791607 წერილი, რომლითაც დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ განახლებული პაკეტი, რომელიც შესაბამისობაშია მოყვანილი ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან.

პროგრამის მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა შემდეგი პარამეტრები:

**პროგრამის სახელწოდება – „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“**

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის – 55 კრედიტი;

კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის – 70 კრედიტი.

დაწესებულების გადაწყვეტილებით, აღნიშნული ცვლილებები გავრცელდება 2026 წლის მიღებიდან ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ პროგრამაში ასახულია საგანმანათლებლო სტანდარტით დაშვებული მოდულების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა, თუმცა დაწესებულებას ცენტრში არ წარმოუდგენია პროფესიული პროგრამების დისტანციური სწავლების წესი.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის N143/ნ ბრძანების („პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“) მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია განსაზღვროს დისტანციური სწავლების პროცესის ეტაპები, ჩართულ პირთა პასუხისმგებლობები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტი ცენტრში წარმოდგენილი არ არის და დაწესებულებას არ მოუმართავს ცენტრისთვის განხორციელების ფორმის ცვლილების თაობაზე, მას ამ ეტაპზე არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი, განახორციელოს სასწავლო პროცესი დისტანციური ფორმით. მოდულების დისტანციურად განხორციელება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაწესებულება შეიმუშავებს შესაბამის წესს და მას ცენტრში დადგენილი წესით წარადგენს.

განხილვის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მომზადდეს შუამდგომლობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წინაშე პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ პარამეტრების ცვლილების დამტკიცების თაობაზე.

ასევე განისაზღვრა, რომ აღნიშნული ცვლილება უნდა აისახოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 4 ოქტომბრის N1302407 გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 4 ოქტომბრის N1302407 გადაწყვეტილებაში“ ცვლილების შესახებ.

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 4 ოქტომბრის N1302407 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, ცვლილება განხორციელდეს „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პარამეტრებში. გადაწყვეტილების N1302407 მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 2).

**მესამე საკითხი:** შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ არგუმენტებზე პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნანა ხითარიშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 15 ოქტომბრის NoMES 9 25 0001350585 ბრძანებით (ცვლილება შესულია 2025 წლის 14 ნოემბრის ბრძანება NoMES 9 25 0001617868,) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯში დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2025 წლის 26, 27 და 28 ნოემბერს განხორციელდა ვიზიტი შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯში (მის. ქ. საგარეჯო გ. ლეონიძის N 33 ა). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციას, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებს, პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს. დათვალიერდა სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

### **საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა**

დაწესებულების პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიან განხორციელებაში და სასწავლო რესურსების შექმნაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია; „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროგრამისთვის პედაგოგის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო, რომელიც სრულად შეესაბამება მოდულის სწავლის შედეგებს და ეფექტურად გამოიყენება როგორც პროფესიული სტუდენტების, ისე კოლეგა პედაგოგების მიერ. ეს ხელს უწყობს სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებას, პედაგოგების პროფესიული განვითარების გაძლიერებასა და საგანმანათლებლო მასალების ხელმისაწვდომობას. ინფორმაციული ტექნოლოგიის პროფესიული განათლების მასწავლებელი მუშაობს ელექტრონული სასწავლო პლატფორმის შექმნაზე, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გაციფრულებას, სასწავლო რესურსებზე მუდმივ წვდომას და სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას. აღნიშნული ინიციატივა მნიშვნელოვნად აძლიერებს ინსტიტუციის ტექნოლოგიურ პოტენციალს და ზრდის სწავლების ეფექტიანობას.

### **განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

1.1.1.3 დაწესებულების ხედვაა „უახლოეს შვიდ წელიწადში ჩამოყალიბდეს მრავალპროფილიან საგანმანათლებლო ცენტრად, რომელიც წარმატებით ახორციელებს ყველა დონის პროფესიულ პროგრამას შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული პროფესიების ფართო სპექტრში.“ სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ხედვის დროში მკაფიოდ რეგლამენტირება, რათა

ის არ დარჩეს ზოგად განაცხადად და გარდაიქმნას რეალისტურ, მიღწევად მიზნად. მკაფიოდ განსაზღვრული ვადა ხელს უწყობს პროცესების უკეთ ორგანიზებას, პროგრესის პერიოდულ შეფასებას და ხედვის ეტაპობრივ, შედეგზე ორიენტირებულ მიღწევას. 1.2.1.1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სტრატეგიული დაგეგმვის, შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია“ (დამტ. 29.11.2023 N 111; ცვლილება 26.08.2025 N 129), რომლის მიხედვითაც დაწესებულებამ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით უნდა შექმნას სამუშაო ჯგუფი. დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 12 ივნისის ბრძანება N 75 შპს „ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ N 00020305. აღნიშნული ჯგუფის მუშაობის ამსახველი ოქმებით და დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუებით დადასტურდა, რომ აღნიშნულმა ჯგუფმა შეიმუშავა 2025-2032 წწ სტრატეგიული გეგმა და 2025-2026 წწ სამოქმედო გეგმა. სასურველია, რომ სამუშაო ჯგუფის შექმნის შემთხვევაში, ბრძანებაში დეტალურად იყოს ფორმულირებული თუ რა ფუნქციებსა და მოვალეობებს ასრულებენ ჯგუფის წევრები. ეს უზრუნველყოფს სამუშაო პროცესის გამჭვირვალობას, ხელს შეუწყობს საქმიანობის ეფექტურობას და მიზანმიმართულ განხორციელებას.

1.2.2.1 დაწესებულებას „სტრატეგიული დაგეგმვის, შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიით“ (დამტ. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 29.11.2023 N 111 ცვლილება შესულია 26.08.2025 N 129 ბრძანებით) განსაზღვრული აქვს რომ შუალედური ანგარიშგება ხორციელდება დაგეგმილი აქტივობების მიმდინარეობის მიხედვით და შეიძლება განხორციელდეს ზეპირი მოსმენის ფორმით ერთობლივ სხდომებზე, სამუშაო ჯგუფის ან ადმინისტრაციის ფარგლებში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოკლე წერილობითი შეჯამებების მომზადებაც. სასურველია დაწესებულებამ მეთოდოლოგიაში დააკონკრეტოს როგორც სამოქმედო გეგმის, ასევე სტრატეგიული გეგმის შუალედური მონიტორინგის განხორციელების ვადები და როგორც საბოლოო მონიტორინგის დროს, ასევე შუალედური მონიტორინგის დროს უზრუნველყოს ანგარიშებს წარდგენა წერილობითი დოკუმენტის სახით. ეს უზრუნველყოფს მონიტორინგის პროცესის სისტემურობას, გამჭვირვალობასა და შედეგებზე ორიენტირებულ შეფასებას, რაც ასევე ხელს შეუწყობს დროულად დაფიქსირდეს და გამოსწორდეს შესაძლო ხარვეზები. ამასთანავე, მიღებულ იქნას ობიექტური და ფაქტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები.

3.1.1.1. დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება შპს „ილია–ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2025 წლის შემოდგომის მიღებისათვის შესარჩევი მოტივაციური გასაუბრების დანიშვნის ვადებისა და დროის განსაზღვრის შესახებ“, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი როგორც გასაუბრების ჩატარების ვადები და პროცედურები, ასევე შესარჩევი კომისიის შემადგენლობა. რადგან ბრძანების დასახელება მოიცავს შესარჩევი მოტივაციური გასაუბრების დანიშვნის ვადებსა და დროს, ხოლო ბრძანების შინაარსით ასევე განსაზღვრულია შესარჩევი კომისია. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია რომ ბრძანების სათაური უფრო ზუსტად ასახავდეს მის შინაარსს.

3.1.1.4 პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება -მოვალეობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი, გაწერილია პერსონალურ მონაცემთა მოპოვების, დაცვის მექანიზმები და ასევე სტუდენტთა თანხმობის მოპოვების პროცედურა პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე. აღნიშნულ ხელშეკრულებაში პუნქტი 4.6-ით დაწესებულება იღებს უფლებას „სტუდენტის ფოტო გამოყენებული იქნას კოლეჯის პოპულარიზაციისთვის“ ვინიდან ხელშეკრულებაზე ხელმოწერა წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას დაწესებულებაში

ჩასარიცხად, პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს უჩნდება ვალდებულება განაცხადოს თანხმობა ხელშეკრულებაში გაწერილ ყველა ჩამოთვლილ საკითხზე, მაშინაც კი, თუ რომელიმე მათგანს არ ეთანხმება. აღნიშნული მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან, რომელიც ითვალისწინებს, რომ თანხმობა პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე უნდა იყოს თავისუფლად გაცემული, კონკრეტული და ინფორმირებული. სასურველია დაწესებულებამ აღნიშნული საკითხებზე (თანხმობა ფოტო/ვიდეო გადაღებაზე) უზრუნველყოს სტუდენტისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის არჩევანის მინიჭების უფლება, რისთვისაც შესაძლებელია ხელშეკრულებაში გააჩინოს დამატებით მოსანიშნი გრაფა ან აღნიშნული საკითხი დაარეგულიროს ხელშეკრულების მიღმა.

3.2.1.1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „მთავარი დებულება“, (დამტ.ბრძანება N111 - 29/11/2023წ. ცვლილება: ბრძანება N00000129 - 26/08/2025წ) სადაც გაწერილია დაწესებულებაში დასაქმებული პირების უფლებები და მოვალეობები. პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია- მოვალეობებში არ არის გაწერილი სტუდენტებისთვის საჭიროების შემთხვევაში დამატებითი კონსულტაციების გაწევის ვალდებულება, მაშინ როდესაც ინტერვიუებით პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან დასტურდება პროფესიული განათლების მასწავლებლების მხრიდან საჭიროების შემთხვევაში დამატებითი კონსულტაციების გაწევა. სასურველია, რომ დაწესებულებამ პროფესიული განათლების მასწავლებლის მოვალეობებში ცალკე განუსაზღვროს სტუდენტებისთვის კონსულტაციისა და მხარდამჭერი აქტივობების განხორციელება. ამ მიდგომით უზრუნველყოფილი იქნება აღნიშნული პროცესის ფორმალიზება, თანმიმდევრულობა და სტუდენტზე ორიენტირებული მხარდაჭერის გამართული სისტემა. 3.2.2.3 დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ კვლევის მეთოდოლოგია“ რომლის მიხედვითაც ატარებს კურსდამთავრებულთა კვლევას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაშია არ არის გაწერილი თუ რა პერიოდულობით ტარდება აღნიშნული კვლევა. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს კვლევის მეთოდოლოგიაში კურსდამთავრებულთა კვლევის ჩატარების პერიოდის განსაზღვრა, რაც უზრუნველყოფს კვლევის პროცესის ეფექტურ დაგეგმვას, შედეგების შედარების შესაძლებლობას და კვლევის გამჭვირვალობას.

4.2.1.1. ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ დაწესებულება ატარებს ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროებების კვლევას, თუმცა აღნიშნული კვლევის მექანიზმი არ არის გაწერილი დაწესებულების კვლევის მეთოდოლოგიაში. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს მარეგულირებელ დოკუმენტში ადმინისტრაციული პერსონალის კვლევის პროცედურის განსაზღვრა, რათა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები და მარეგულირებელი დოკუმენტები თანხვედრაში იყოს ერთმანეთთან.

5.2.2.1 დაწესებულებაში მოქმედებს „საქმისწარმოების წესი“, სადაც დეტალურად არის გაწერილი სხდომებისა და სამუშაო შეხვედრების ოქმების შედგენისა და გაფორმების პროცედურა. თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ოქმები სრულად არ შეესაბამებოდა აღნიშნულ მეთოდოლოგიას. სასურველია, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს საქმისწარმოების წესის შესაბამისი ფორმატის ოქმების მომზადება და წარმოება, რათა დოკუმენტაცია სრულად შეესაბამებოდეს შიდა რეგულაციებს.

ბ) გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

**პროფესიული პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო)**

2.2.1.3 პროგრამაში არსებული ხშირი ცვლილებების (დარგობრივი და ხარისხობრივი განახლებების) გათვალისწინებით, მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებლების უფრო ინტენსიური ჩართულობა კვალიფიკაციის ასამაღლებელ აქტივობებში. სასურველია პედაგოგები სისტემურად მონაწილეობდნენ დარგობრივ შეხვედრებში, თანამედროვე პრაქტიკების გაცნობის სესიებში და შესაბამის ტრენინგებში, რათა მათ მიერ განხორციელებული სწავლების პროცესი მუდმივად შეესაბამებოდეს განახლებული მოთხოვნებს, სტანდარტებს და პროგრამის სპეციფიკას.

2.2.1.4 პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა რომ პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტზე გასული სტუდენტების მონიტორინგს. გამომდინარე აქედან, სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს აღნიშნული ფუნქციის მკაფიოდ და სრულად ასახვა პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაში.

ამის შემდეგ ნანა ხითარიშვილმა დეტალურად განიხილა თითოეული სტანდარტი.

### **სტანდარტი I დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება**

დაწესებულებაში შემუშავებულია მისია, ხედვა ღირებულებები. მისია, ხედვა, ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე. შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია. დამტკიცებულია სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა. დაწესებულება უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შეფასებას დაწესებულებაში მოქმედი. მარეგულირებელი წესების შესაბამისად. დაწესებულება ითვალისწინებს შეფასების შედეგებს

### **სტანდარტი III პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**

დაწესებულებაში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. მარეგულირებელი დოკუმენტები განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე. პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები. დაწესებულებაში ფუნქციონირებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერი მექანიზმები. დაწესებულება ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერას. პროფესიული სტუდენტისთვის. ხელმისაწვდომია კარიერული მხარდაჭერა.

### **სტანდარტი IV ადამიანური რესურსები**

დაწესებულებაში დამტკიცებულია სტრუქტურა. დაწესებულებაში შემუშავებულია შინაგანაწესი. გაწერილია პერსონალის სამუშაო აღწერილობები, მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამოქმედო გეგმა. პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და შინაგანაწესის შესაბამისად. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას, მათი საჭიროების კვლევას და პერსონალის განვითარებას. დაწესებულება ხელს უწყობს თანამშრომელთა ინტეგრაციას სამუშაო გარემოში.

### **სტანდარტი V მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსი**

დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალური რესურსით. დაწესებულებაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დაწესებულების შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. დაწესებულებაში შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებაში არის შრომის უსაფრთხოების მენეჯერი. დაწესებულებაში არის პერსონალურ

მონაცემთა დაცვის მენეჯერი. დაწესებულებებში არსებული ყველა ფართი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა რომელიც შეთანხმებულია შესაბამის ორგანოსთან. დაწესებულებაში შემუშავებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურა, გაწერილია რისკების სისტემა. დაწესებულებაში შემუშავებულია საქმისწარმოების წესი. დაწესებულება იყენებს ელექტრონულ საქმისწარმოებას. დაწესებულების ვებ გვერდი უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისათვის სანდო ინფორმაციის მიწოდებას. კატალოგი უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ინფორმირებას და ახლდება ყოველწლიურად. დაწესებულების საქმიანობა ფინანსურად მდგრადია.

ექსპერტმა ნანა ხითარიშვილმა დარგის ექსპერტებთან ერთად დეტალურად განიხილა ცალკეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

### **პროფესიულსაგანმანათლებლოპროგრამა - საფინანსოსერვისები**

დაწესებულების მიერ ჩატარებული ანალიზი აჩვენებს, რომ შრომის ბაზარზე ფინანსური სექტორი ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. არსებული შრომის ბაზრის კვლევებისა და დასაქმების პლატფორმებზე (Jobs.ge, HR.ge, Worknet.gov.ge) განთავსებული ვაკანსიების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ ფინანსურ სფეროზე მოდის ვაკანსიების მნიშვნელოვანი წილი. Worknet.gov.ge-ის 2024 წლის მონაცემებით, რეგისტრირებული ვაკანსიების დაახლოებით მეხუთედი ფინანსურ სექტორშია კონცენტრირებული. ამასთან, საერთაშორისო ტენდენციები (EU Skills Panorama 2023) მიუთითებს ფინანსური სპეციალისტებისადმი მოთხოვნის სტაბილურ ზრდაზე.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ადმინისტრაციული სერვისები**

„ადმინისტრაციული სერვისების“ პროგრამის მიზანშეწონილობა ეფუძნება შრომის ბაზრის ანალიზსა და დამსაქმებლების გამოკითხვებს, რომლებიც ადასტურებს ადმინისტრაციული პერსონალის მზარდ მოთხოვნას. თანამედროვე ორგანიზაციებს ესაჭიროებათ კადრები, რომლებიც ფლობენ როგორც ტექნიკურ, ისე კომუნიკაციურ და ორგანიზაციულ უნარებს, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიან მართვას და გუნდის შედეგიან მუშაობას.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ფარმაცია (სააფთიაქო)**

დაწესებულება უკვე ექვსი წელია ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ფარმაცია (სააფთიაქო)“. რეგიონში ფუნქციონირებს როგორც ქსელური, ისე კერძო და სოფლის აფთიაქები, რომლებიც გამოხატავენ კვალიფიციური კადრების საჭიროებას, მათ შორის არაქართულენოვან სოფლებშიც. დაწესებულების გეოგრაფიული სიახლოვე დედაქალაქთან და დამსაქმებლების მხრიდან გამოკვეთილი ინტერესი ადასტურებს პროგრამის აქტუალობას როგორც რეგიონში, ასევე მიმდებარე ტერიტორიებზე.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერა**

დაწესებულების მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის ანალიზი აჩვენებს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სპეციალისტებზე სტაბილურად მზარდ მოთხოვნას. საჯარო და კერძო სექტორში აქტუალურია კადრები, რომლებიც ფლობენ პროგრამირების, მონაცემთა ბაზების მართვის, კიბერუსაფრთხოების, ქსელებისა და სისტემების ადმინისტრირების, ასევე ვებ და მობილური აპლიკაციების განვითარების პრაქტიკულ უნარებს. აღნიშნულ საჭიროებას ადასტურებს ადგილობრივი თვითმმართველობის წერილიც, რომელიც მუნიციპალიტეტის სტრუქტურებში IT მხარდაჭერის სპეციალისტებზე მოთხოვნას მიუთითებს.

## **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ვეტერინარია**

დაწესებულების მიერ მოძიებული კვლევები ადასტურებს ვეტერინარიის პროგრამის მაღალ აქტუალობას რეგიონში, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩართულია მესაქონლეობასა და თვითდასაქმებაში. რეგიონში იზრდება ვეტერინარული აფთიაქებისა და კლინიკების რაოდენობა, რაც კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნას აძლიერებს. დაწესებულების თანამშრომლობა სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან და კურსდამთავრებულთა ჩართულობა ვაქცინაციისა და პირველადი ვეტერინარული დახმარების პროცესებში პრაქტიკულად ადასტურებს პროგრამის საჭიროებას. კვლევების მიხედვით, ვეტერინარიის მიმართულებით კადრები დეფიციტურია როგორც საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ისე მიმდებარე რეგიონებში, ხოლო დამსაქმებლები განსაკუთრებულ მოთხოვნას გამოხატავენ ცხოველთა მოვლის, დაავადებების პრევენციის, ვაქცინაციისა და აგროტექნოლოგიების ცოდნის მქონე სპეციალისტებზე. შესაბამისად, პროგრამა პასუხობს როგორც რეგიონულ, ისე ეროვნულ შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

## **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი**

დაწესებულებამ პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების პროცესში იხელმძღვანელა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევების ანალიზით. დაწესებულება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას ასაბუთებს იმ გარემოებით, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 30 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც აღმზრდელ-პედაგოგების დიდი ნაწილი შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომის გარეშე მუშაობს, აქედან გამომდინარე, დაწესებულების არსებობა და აღნიშნული პროგრამის განხორციელება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ.

## **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯს(ს/კ: 238134425) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯს მიენიჭოს

უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 3).

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 13:40 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების  
ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
კაკაბაძე ელენე

ე. ხ. ხაჩიძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების  
ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ბუთხუზი ნათია

ნ. ბუთხუზი



|                                                                                                                                                                                                                    |                                                        |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------|
| პროგრამის სახელწოდება                                                                                                                                                                                              | აღმზრდელი                                              |
| პროფესიული განათლების დონე                                                                                                                                                                                         | მეხუთე                                                 |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია                                                                                                                                                                                          | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია<br>სკოლამდელ აღზრდაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი                                                                                                                                                                                       | 0112                                                   |
| პროგრამის განხორციელების ენა                                                                                                                                                                                       | ქართული                                                |
| პროგრამის განხორციელების<br>მისამართი/მისამართები                                                                                                                                                                  | მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის<br>დასახლება        |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ<br>სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო<br>გარემოში)                                                                                                                         | რეალურ სამუშაო გარემოში                                |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა<br>(კოოპერაციული/დუალური)                                                                                                                                                  | კოოპერაციული                                           |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ<br>სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების<br>ფორმის მიხედვით                                                                                                                        | 30                                                     |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული<br>რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა<br>ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე,<br>რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად<br>მოდულებს სწავლების ფორმის<br>მიხედვით(არსებობის შემთხვევაში) | -                                                      |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული<br>სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი<br>სტუდენტებისთვის                                                                                                                 | -                                                      |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული<br>სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი<br>სტუდენტებისთვის                                                                                                              | 116                                                    |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული<br>სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი<br>სტუდენტებისთვის                                                                                                              | -                                                      |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული<br>სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი<br>სტუდენტებისთვის                                                                                                           | 146                                                    |

|                                                                                                                                                                                                                    |                                                          |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------|
| პროგრამის სახელწოდება                                                                                                                                                                                              | ბუღალტრული აღრიცხვა                                      |
| პროფესიული განათლების დონე                                                                                                                                                                                         | მეხუთე                                                   |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია                                                                                                                                                                                          | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია<br>ბუღალტრულ აღრიცხვაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი                                                                                                                                                                                       | 0411                                                     |
| პროგრამის განხორციელების ენა                                                                                                                                                                                       | ქართული                                                  |
| პროგრამის განხორციელების<br>მისამართი/მისამართები                                                                                                                                                                  | მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის<br>დასახლება          |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ<br>სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო<br>გარემოში)                                                                                                                         | იმიტირებულ სამუშაო გარემოში                              |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა<br>(კოოპერაციული/დუალური)                                                                                                                                                  | -                                                        |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ<br>სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების<br>ფორმის მიხედვით                                                                                                                        | 30                                                       |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული<br>რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა<br>ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე,<br>რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად<br>მოდულებს სწავლების ფორმის<br>მიხედვით(არსებობის შემთხვევაში) | -                                                        |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული<br>სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი<br>სტუდენტებისთვის                                                                                                                 | -                                                        |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული<br>სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი<br>სტუდენტებისთვის                                                                                                              | 99                                                       |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული<br>სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი<br>სტუდენტებისთვის                                                                                                              | -                                                        |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული<br>სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი<br>სტუდენტებისთვის                                                                                                           | 129                                                      |

|                                                                                                                                                                                                     |                                                                     |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------|
| პროგრამის სახელწოდება                                                                                                                                                                               | ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა                                  |
| პროფესიული განათლების დონე                                                                                                                                                                          | მესამე                                                              |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია                                                                                                                                                                           | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი                                                                                                                                                                        | 0612                                                                |
| პროგრამის განხორციელების ენა                                                                                                                                                                        | ქართული                                                             |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები                                                                                                                                                      | მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება                        |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)                                                                                                                | იმიტირებულ სამუშაო გარემოში                                         |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)                                                                                                                                      | -                                                                   |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით                                                                                                               | 30                                                                  |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში) | -                                                                   |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის                                                                                                        | -                                                                   |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის                                                                                                     | 55                                                                  |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის                                                                                                     | -                                                                   |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის                                                                                                  | 70                                                                  |

|                                                                                                                                                                                                     |                                                                     |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------|
| პროგრამის სახელწოდება                                                                                                                                                                               | ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა                                  |
| პროფესიული განათლების დონე                                                                                                                                                                          | მესამე                                                              |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია                                                                                                                                                                           | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი                                                                                                                                                                        | 0612                                                                |
| პროგრამის განხორციელების ენა                                                                                                                                                                        | ქართული                                                             |
